

ტექნიკური ექსპერტის ტექნიკური დავალება

I. შესავალი

საქართველოს მთავრობამ, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საკველუწებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახით, დაიწყო შედეგებზე დაფუძნებული შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP) განხორციელება. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია საქართველოს მთავრობასა და რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკს ((IBRD) მსოფლიო ბანკი) შორის 2016 წლის 28 მარტს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებით.

სასესხო ხელშეკრულების მე-2 ნაწილის მე-2 მუხლის C.1-3 პუნქტების თანახმად, საქართველოს მთავრობამ ყოველწლიურად უნდა უზრუნველყოს პროექტის დამოუკიდებელი მონიტორინგი და შეფასება პროექტის დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების გზით. პროექტის განხორციელების მეშვიდე წლის, რომელიც მოიცავს 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდს, აუდიტს ჩაატარებს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

II. დავალების მიზანი

წინამდებარე ტექნიკური დავალება აღწერს ტექნიკური ექსპერტის მიერ გასაწევ მომსახურებას. დავალების ძირითად მიზანს წარმოადგენს პროექტის ფარგლებში გაფორმებული „პროექტირება-მშენებლობის“ და რეაბილიტაციის კონტრაქტებით გათვალისწინებული პროექტირებისა და რეაბილიტაციის ეტაპებზე განხორციელებული სამუშაოების ტექნიკური აუდიტის ჩატარება. ტექნიკური აუდიტი უნდა მოიცავდეს 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდს.

III. მომსახურების აღწერა

ტექნიკურ ექსპერტს ევალება შემდეგი დავალების შესრულება:

- ა) გურიის რეგიონში გზების მონაკვეთების რეაბილიტაციის პროგრესის მიმოხილვა:
 1. სამუშაოების მიმდინარეობის შემოწმება სამუშაოთა დამტკიცებულ პროგრამასთან შესაბამისობის, ასევე, ზედამხედველის ყოველთვიური პროგრესის ანგარიშებისა და დამტკიცებული შუალედური გადახდის სერტიფიკატების განხილვის გზით;
 2. მიმოხილვა და დადასტურება, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების კონტრაქტები განხორციელდა დამტკიცებული პროექტების, სამუშაოთა დამტკიცებული პროგრამის და საკონტრაქტო პირობების შესაბამისად, რისთვისაც

ექსპერტმა უნდა განახორციელოს შემთხვევით შერჩეული საპროექტო გზის სექციებზე 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში დასრულებული სამუშაოების ვიზუალური დათვალიერება/ინსპექტირება; დასრულებულ სამუშაოებში ნებისმიერი უჩვეულო, არატიპური დაზიანების გამოვლენა ან დამტკიცებულ პროექტთან, საკონტრაქტო პირობებთან, სამუშაო პროგრამასთან ან შუალედური გადახდის სერტიფიკატებთან შეუსაბამობის დადგენა; აუდიტის ტექნიკური დასკვნის ანგარიშში დასმული საკითხების ტექსტურ აღწერას ასევე უნდა ახლდეს მონაცემების დეტალური ციფრული ფოტოსურათები GPS კოორდინატების მითითებით;

3. ზედამხედველის მიერ დეპარტამენტისთვის წარდგენილი ყოველთვიური ანგარიშების განხილვა, რათა დადგინდეს კონტრაქტორ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშებში ასახული რეალური ინფორმაცია და სამუშაოების შესრულების დროს საგზაო მოძრაობის მართვის გეგმების დაცვა;
4. აუდიტის მიერ მომზადებული ტექნიკური დასკვნა უნდა მოიცავდეს რეკომენდაციებს იმ საკითხების გასაუმჯობესებლად, რომლებიც პრობლემურია და სადაც გამოვლინდა შეუსაბამობები.

ბ) პროექტირება-მშენებლობისა და რეაბილიტაციის კონტრაქტების ფარგლებში განხორციელებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციისა და გაუმჯობესების სამუშაოების მიმდინარეობის განხილვა:

1. „A“ დანართში მითითებული მიმდინარე პროექტირება-მშენებლობისა და რეაბილიტაციის კონტრაქტების ფარგლებში დამტკიცებული პროექტების განხილვა, შუალედური გადახდის სერტიფიკატების (IPC) და კონტრაქტორების, საზედამხედველო კომპანიის და/ან საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელთ არსებული სხვა შესაბამისი დოკუმენტების ან ინფორმაციის განხილვა, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ პროექტირება-მშენებლობის და რეაბილიტაციის კონტრაქტებთან; (ii) შესაბამისი ანგარიშების/დოკუმენტაციის არსებობის დადასტურება და (iii) ინფორმაციის სრულად ასახვა კონსულტანტთან გაფორმებული ხელშეკრულების/ტექნიკური დავალების პირობებით განსაზღვრული მოთხოვნების თანახმად;
2. პროექტის მომზადების ეტაპზე პროექტის დამტკიცების პროცესის განხილვა და ხარისხის მართვის იმ პროცესების განხილვა, რომელიც გამოიყენება კონტრაქტორისა და საზედამხედველო კომპანიის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოების ეტაპზე;
3. პროექტირება-მშენებლობის და რეაბილიტაციის კონტრაქტების ფარგლებში სამუშაოების მიმდინარეობის შემოწმება სამუშაოთა დამტკიცებულ პროგრამასთან შესაბამისობის, ასევე ზედამხედველის ყოველთვიური პროგრესის ანგარიშებისა და დამტკიცებული შუალედური გადახდის სერტიფიკატების განხილვის გზით;
4. მიმოხილვა და დადასტურება, რომ პროექტირება-მშენებლობის და რეაბილიტაციის კონტრაქტები განხორციელდა დამტკიცებული პროექტების, სამუშაოთა დამტკიცებული პროგრამის და საკონტრაქტო პირობების შესაბამისად, რისთვისაც ექსპერტმა უნდა განახორციელოს შემთხვევით შერჩეული საპროექტო ს/გზის სექციებზე 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში

დასრულებული სამუშაოების ვიზუალური დათვალიერება/ინსპექტირება; დასრულებულ სამუშაოებში ნებისმიერი უჩვეულო, არატიპური დაზიანების გამოვლენა ან დამტკიცებულ პროექტთან, საკონტრაქტო პირობებთან, სამუშაო პროგრამასთან ან შუალედური გადახდის სერტიფიკატებთან შეუსაბამობის დადგენა; აუდიტის ტექნიკური დასკვნის ანგარიშში დასმული საკითხების ტექსტურ აღწერას ასევე უნდა ახლდეს მონაცემების დეტალური ციფრული ფოტოსურათები GPS კოორდინატების მითითებით;

5. ზედამხედველის მიერ საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის წარდგენილი ყოველთვიური ანგარიშების განხილვა, რათა დადგინდეს კონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშებში ასახული რეალური ინფორმაცია და სამუშაოების შესრულების დროს მოძრაობის მართვის გეგმების დაცვა;
6. აუდიტის მიერ მომზადებული ტექნიკური დასკვნა უნდა მოიცავდეს რეკომენდაციებს, იმ საკითხების გასაუმჯობესებლად, რომლებიც პრობლემურია და სადაც გამოვლინდა შეუსაბამობები.

გ) კლიმატის მდგრადობისკენ მიმართული პრაქტიკის განხილვა გზების დეპარტამენტის საგზაო აქტივების მართვაში

რაჭის რეგიონში კლიმატური მდგრადობისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელების შემოწმება:

1. სამუშაოების მიმდინარეობის შემოწმება სამუშაოთა დამტკიცებულ პროგრამასთან შესაბამისობის, ასევე, ზედამხედველის ანგარიშებისა და დამტკიცებული შუალედური გადახდის სერტიფიკატების განხილვის გზით;
2. მიმოხილვა და დადასტურება, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა დამტკიცებული პროექტების, სამუშაოთა დამტკიცებული პროგრამის და საკონტრაქტო პირობების შესაბამისად, რისთვისაც ექსპერტმა უნდა განახორციელოს შემთხვევით შერჩეული საპროექტო გზის სექციებზე 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში დასრულებული სამუშაოების ვიზუალური დათვალიერება/ინსპექტირება; დასრულებულ სამუშაოებში ნებისმიერი უჩვეულო, არატიპური დაზიანების გამოვლენა ან დამტკიცებულ პროექტთან, საკონტრაქტო პირობებთან, სამუშაო პროგრამასთან ან შუალედური გადახდის სერტიფიკატებთან შეუსაბამობის დადგენა; აუდიტის ტექნიკური დასკვნის ანგარიშში დასმული საკითხების ტექსტურ აღწერას ასევე უნდა ახლდეს მონაცემების დეტალური ციფრული ფოტოსურათები GPS კოორდინატების მითითებით;
3. ზედამხედველის მიერ დეპარტამენტისთვის წარდგენილი ანგარიშების განხილვა, რათა დადგინდეს კონტრაქტორ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშებში ასახული რეალური ინფორმაცია და სამუშაოების შესრულების დროს საგზაო მოძრაობის მართვის გეგმების დაცვა;
4. აუდიტის მიერ მომზადებული ტექნიკური დასკვნა უნდა მოიცავდეს რეკომენდაციებს იმ საკითხების გასაუმჯობესებლად, რომლებიც პრობლემურია და სადაც გამოვლინდა შეუსაბამობები.

IV. დავალების ხანგრძლივობა

პროექტით გათვალისწინებული კონტრაქტების ფარგლებში სამუშაოების მიმდინარეობის აუდიტი უნდა დაიწყო 2024 წლის მარტში და მოიცავდეს 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდს. დავალების ხანგრძლივობა შეადგენს 120 კალენდარულ დღეს.

V. ანგარიშგება

ექსპერტი ანგარიშვალდებულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან და სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან.

ექსპერტმა უნდა წარმოადგინოს:

- წინასწარი ანგარიში, სადაც აღწერილი იქნება შემოწმების მეთოდოლოგია და შემოწმების შედეგად გამოვლენილი წინასწარი შედეგები, მომსახურების დაწყებიდან 25 კალენდარულ დღეში.
- საბოლოო ანგარიში, სადაც გათვალისწინებული იქნება წინასწარ ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნები, მომსახურების დაწყებიდან 45 კალენდარულ დღეში.
- განახლებული საბოლოო ანგარიში - სადაც გათვალისწინებული იქნება რაჭის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მონაკვეთებზე კლიმატური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების (ხელშეკრულება №SRAMP/CW/NCB-21) განახლებული სტატუსი 2024 წლის ივნისის მდგომარეობით, მომსახურების დაწყებიდან 120 კალენდარულ დღეში.

ანგარიშები უნდა მომზადდეს ინგლისურ და ქართულ ენებზე საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან წინასწარ შეთანხმებული ფორმატით და წარმოდგენილ იქნას ელექტრონული სახით სტანდარტული პროგრამების გამოყენებით (მაგ. MS WORD, EXCEL, PDF და ა.შ.).

მოთხოვნის შემთხვევაში, პროექტთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება (ელექტრონული ან ბეჭდური), გამოვლენილი პრობლემების წერილობით აღწერასთან და სხვა მასალებთან ერთად, უნდა გადაეცეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

პროექტთან დაკავშირებული მასალები და ექსპერტების მიერ მოპოვებული ინფორმაცია განკუთვნილია საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოსაყენებლად და დაუშვებელია სხვა მხარესათვის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემა საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

VI. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ტექნიკური ექსპერტის შერჩევა ძირითადად მოხდება შემდეგი სასურველი უნარებისა და ცოდნის შეფასებით:

- ა) სამოქალაქო ინჟინერი მინიმუმ 7 წლიანი ზოგადი გამოცდილებით საგზაო საინჟინრო მიმართულებით;
- ბ) საგზაო ინჟინერი, რომელსაც გააჩნია შესრულებისა და ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით გამოცდილება;
- გ) გზების პროექტირების მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება;
- დ) საგზაო უსაფრთხოების სფეროში გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- ე) გამოცდილება კონტრაქტების მენეჯმენტის მიმართულებით ჩაითვლება უპირატესობად;
- ვ) ანგარიში მომზადებული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

შერჩეულ ექსპერტს არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის“ ფარგლებში.

VII. გადახდის პირობები

ტექნიკური ექსპერტის მომსახურება დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მომსახურების ღირებულებას გადაიხდის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომელიც პროექტის განმახორციელებელ უწყებას წარმოადგენს.

ექსპერტთან გასაფორმებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდები დაკავშირებული იქნება წარმოდგენილ ანგარიშებთან, ქვემოთ მოცემული გრაფიკის მიხედვით:

ანგარიში	წარმოდგენის ვადა	გადახდის პროცენტი
წინასწარი ანგარიში	25 კალენდარული დღე დაწყებიდან	30%
საბოლოო ანგარიში	45 კალენდარული დღე დაწყებიდან	50%
განახლებული საბოლოო ანგარიში	120 კალენდარული დღე დაწყებიდან	20%

დანართი „A“

„SRAMP“-ის ფარგლებში გზების მონაკვეთების ჩამონათვალი:

1. SRAMP/CW/NCB-09: ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზა (კმ16 – კმ25.5)
2. SRAMP/CW/NCB-10: ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზა (კმ25.5 - კმ32)
3. SRAMP/CW/NCB-11 ლოტი 1: საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის გზის (შ02) კმ 35 - კმ 43.6 და კმ 47.2 - კმ 48 მონაკვეთები
4. SRAMP/CW/NCB-11 ლოტი 2: საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის გზის (შ02) კმ 54.0 - კმ 67.7 მონაკვეთი
5. SRAMP/CW/NCB-11 ლოტი 3: ჩოხატაური-ბახმაროს გზის (შ81) კმ 15.9 - კმ 21.4 და კმ 22.5 - კმ 24.5 მონაკვეთები
6. SRAMP/CW/NCB-11 ლოტი 4: ჩოხატაური-ბახმაროს გზის (შ81) კმ 34 - კმ 50 მონაკვეთი
7. SRAMP/CW/NCB-12 ლოტი 1: ჩოხატაური-ზომლეთის გზის (შ83) კმ 3.5 - კმ 13.8 მონაკვეთი
8. SRAMP/CW/NCB-12 ლოტი 2: საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის გზის (შ02) კმ 17 - კმ 19.5 მონაკვეთი
9. SRAMP/CW/NCB-12 ლოტი 3: ოზურგეთი-ნატანები-ურეკის გზის (შ46) კმ 0.0 – კმ 2.8 მონაკვეთი
10. SRAMP/CW/NCB-13: თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის გზის დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოები (კმ1 - კმ30)
11. SRAMP/CW/NCB-21: რაჭის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მონაკვეთებზე (შ16 კმ106.5-კმ109; შ16 კმ109.5; შ16 კმ114; შ16 კმ119-კმ120; შ16 კმ123.5-კმ125.5) კლიმატური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები.